

სურნელის დეკოლონიზაცია

მეხუთე თავის შემოკლებული თარგმანი წიგნიდან „რისკის სუნი“

ავტორი: შონ შუ
თარგმანი: ანა ხუბუა

დეკოლონიალური ესთეზიის (Decolonial AestheSis) შესახებ სოციალური ტექსტის შესავალში ვალტერ მინიოლო და როლანდო ვასკესი აყალიბებენ თეორიას აღქმის დეკოლონური რეჟიმების შესახებ, რომლებიც გამორიცხულია და ერთგვარად არ ჯდება „თანამედროვე ესთეტიკის“ (modern Aesthetics) კანონებში. ესთეტიკა და ესთეზია თავიანთი არსით განსხვავებულია. განასხვავებენ ესთეზიას (AestheSis), როგორც სენსორულ პრაქტიკას და ესთეტიკას (Aesthetics), როგორც სენსორული ნორმების კანონს, ისინი წერენ: „დეკოლონური ესთეზია იწყება იმ ცნობიერებიდან, რომ თანამედროვე/კოლონიალური პროექტი გულისხმობს არა მხოლოდ ეკონომიკის, პოლიტიკური ფაქტორებისა და ცოდნის კონტროლს, არამედ გრძნობებზე და აღქმაზე კონტროლსაც“. თუ ვაღიარებთ, რომ დასავლური მოდერნულობა და კოლონიურობა აგებულია ინსტიტუტების ესთეტიკურად რეგულირების პრინციპზე, მაშინ ამ პროექტების მოშლა მოითხოვს არა მხოლოდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ეპისტემოლოგიურ გარდაქმნებს, არამედ გრძნობათა დეკოლონიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ დეკოლონიზაციას მნიშვნელოვნად შეისწავლიდნენ ვიზუალიზაციისა და ხმასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში, გაცილებით ნაკლებია კვლევები, რომლებიც ეხება ამ საკითხებს ე.წ. „ქვედა გრძნობებთან“ დაკავშირებით. თუმცა ყნოსვის განლაგება გრძნობების იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე, შეგვიძლია რასობრივი და კოლონიური აზროვნების პროდუქტად და ქმნილებად ჩავთვალოთ. ასევე ყნოსვა ღრმად არის დაკავშირებული მატერიალურ ატმოსფეროებთან და სხეულთაშორის, ტრანსკორპორაციულ¹ (trans-corporeal) ეკოლოგიასთან და, ამრიგად, ის შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც განსხვავებული კავშირი გეოგრაფიულ უთანასწორობასა და ზოგადად, გარემოსთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის საკითხებთან მიმართებაში. რადგან სუნი განპირობებულია და იცვლება მატერიალური სურნელოვანი ლანდშაფტის (smellscape) მიერ, სუნის დეკოლონიზება არ არის მხოლოდ იმის მეტაფორა, რათა შეცვალოს ადამიანის აზროვნება ან აღქმა. ის მოითხოვს როგორც მიწის, ასევე ჰაერის მატერიალურ ტრანსფორმაციას. ამრიგად, ფილოსოფიის მიერ ყნოსვითი ცოდნის არაღიარება და მატერიალური სუნის გეოგრაფიულად არათანაბარი განაწილება წარმოადგენს მნიშვნელოვან, ურთიერთდაკავშირებულ ადგილებს დეკოლონიზაციური სამუშაოსთვის. იმავდროულად ახალმოსახლეთა კოლონიალიზმის (settler colonialism) შედეგად უფრო ფართედ გავრცელდა ატმოსფერული უთანასწორობა, ხოლო კოლონიური განათლების დიდი ძალისხმევა გაიწია იმისთვის, რომ არასრულფასოვნად მიეჩნია ყნოსვა, როგორც ცოდნისა და ურთიერთობის რეჟიმი. მკვიდრი მოსახლეობის ყნოსვითი პრაქტიკა არა მხოლოდ გარემოსდაცვითი ძალადობის წინააღმდეგ ძალისხმევაა, არამედ იმისთვის იბრძვის, რომ ხელახლა ააღორძინოს არა-ადამიანური

¹ მატერიალურ და თეორიულ სხეულებს შორის ფლუიდურობა, ის ეჭვქვეშ აყენებს დუალიზმსა და დიქოტომიას. ტრანსკორპორაციულობა გულისხმობს ურთიერთ შიდა კავშირებს, შიდა ქმედებებს, გადახლართულობას და ტრანზიტებს ადამიანისა და არა ადამიანურ სხეულებს შორის.

(non-human) მონათესავე ორგანიზმების შეცნობისა და მათთან დაკავშირების გზები. ეს თავი განიხილავს ყნოსვის დეკოლონიზაციის მიერ დასმულ საკითხებსა და მასთან დაკავშირებულ კვლევებს. შემდეგ კი განხილულია სამი მწერლის - ალბერტ ვენდტის (სამოა), ჰაუნანი-კეი ტრასკისა (ჰავაი) და რობინ უოლ კიმერერის (პოტაუატომი) მოსაზრებანი, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ იმ გზებს, რომლითაც კოლონიალიზმი ორკესტრირებს სუნების აღქმასა და სუნის მატერიალურ გადანაწილებას.

კოლონიური სუნის ლანდშაფტები

სანამ ვისაუბრებთ ყნოსვის დეკოლონიზაციის მცდელობებზე, ჯერ უნდა განვიხილოთ სხვადასხვა გზები, რომლითაც ყნოსვა კოლონიურ რესურსად და, ზოგიერთ შემთხვევაში, რეპრესიულ იარაღად იქცა. ყნოსვის კოლონიზაცია ფუნქციონირებს მრავალ დონეზე: (1) აღქმის შრეზე, რომელიც განსაზღვრავს სუნების აღიარებას, შეფასებას, თუ ჩახშობას; (2) გარემოს დონეზე, რომელიც გულისხმობს იმას, თუ რამდენად არათანაბრად არის განაწილებული სხვადასხვა ატმოსფერული მასალები სივრცეში, მასშტაბსა და პოპულაციაში; (3) ტრანსკორპორალური, სხეულთაშორისი დონე, სადაც სუნი და სხვა ატმოსფერული მასალები შეიწოვება სხეულების მიერ, რაც ხშირ შემთხვევაში არემოს გავლენით ნელ, ან სულისშემძვრელ ძალადობას გულისხმობს. კოლონიური ძალაუფლების დასამყარებლად ყნოსვითი გამოცდილების ეს რეგისტრები თავს უყრიან როგორც სუნის გაქრობის პრაქტიკას, ასევე მომწამვლელ ატმოსფეროს და ამავდროულად კოლონიზებული სივრცეებიდან და ადგილობრივ მკვიდრთა სხეულებიდან სარგებელსა და მოგებას ამოწურავენ. სუნის გაქრობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა „ცივილიზაციად გახდომის პროცესში“, როგორც ეს ნორბერტ ელიასმა აჩვენა, როდესაც ევროპელებში გაჩნდა საშუალო-კლასის მანერებისა და ცივილიზაციურობის ცნება. ცივილიზაცია მოითხოვდა განსხეულებული შეგრძნებების ჩახშობას, მათ შორის სუნის უარყოფას, როგორც იმგვარ უნებლიე გრძნობას, რაც შეუთავსებელი იყო გულგრილობისა და ავტონომიის კანტისეულ იდეალებთან. კოლონიალიზმმა ეს ოსმოფობიური (სუნის მიმართ შიშის) მსოფლმხედველობა შემოიტანა მკვიდრ (indigenous) საზოგადოებებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სადაც ხშირად ამკვიდრებდა განათლების სისტემებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი ყნოსვითი კულტურების აღმოფხვრას. საკმაოდ მრავალ ადგილობრივ, მკვიდრ საზოგადოებაში სუნების აღქმა და სურნელით მანიპულირება გარემოსდაცვითი ცოდნისა და ურთიერთმიმართებების განსხეულებული მეთოდი იყო. ყნოსვითი ტრადიციების ზოგიერთი მაგალითი, რომელიც ჩაიხშო კოლონიური განათლების გამო, მოიცავს: ამაზონელი შამანებისა და პარფიუმერების მიერ შესრულებულ „არომაქოლოგიას“ ანუ ყნოსვით, სამკურნალო პრაქტიკას; ბოტანიკური სურნელის შესახებ ადგილობრივ ცოდნას, რომელიც, ქეთლერის აზრით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ევროპელი ბოტანიკოსებისთვის, რომლებიც ამერიკის კონტინენტზე დასახლდნენ მეთვრამეტე საუკუნეში. ჰავაის ჰონის, ანუ ცხვირის ერთმანეთთან მიდების პრაქტიკას, რომელიც ევროპელებმა „დრომოჭმულ ტრადიციად“ მონათლეს, ჯ. კეჰაულანი კაუანუს მიხედვით; ასევე უნდა ვახსენოთ ანდამანის კუნძულების ონგეს ხალხის კოსმოლოგია, რომელთათვისაც ყველა "ცოცხალი არსება სუნისაგან შედგება"; სუნის სულიერი ასოციაციები ჩამოროს კულტურაში, რომლის შესახებაც ვისენტ დიასმა

განმარტა, რომ *figuring* ან შესუნთქვა ტრადიციული გზაა უფროსებისადმი პატივისცემის გამოსახატავად, ხოლო „უეცრად თუ კონკრეტული სუნი გეცა, განსაკუთრებით, ყვავილების სუნი ისეთ ადგილას, სადაც ამგვარი არაფერია, ეს ნიშნავს მიღმიერი სამყაროს ნიშანს“. თანამედროვე ჰავაის ლიტერატურაში დეკოლონიური კოსმოგონიების შესწავლისას მაკ-დუგალი (კანაკა მაოლიდან) გვთავაზობს, რომ „ესთეტიკაზე ვიფიქროთ „ალას“ ანუ სურნელის თვალსაზრისით. ... სუნს ცენტრალური ადგილი უკავია სიკეთისა და ბოროტების აღწერისთვის და ხშირად სურნელი აღიქმება, როგორც სხვადასხვა ნიშანი ან გაფრთხილება. სუნი შეიძლება სასარგებლო იყოს მეხსიერებისა და მემკვიდრეობის ესთეტიკის თვალსაზრისით, რადგან ის ხშირად მიუთითებს იმაზე, რაც არსებობს მისი უხილავობის მიუხედავად.“

ოკეანიის კულტურაში სუნი ემსახურება სივრცესა და დროს შორის კავშირების დამყარებას: ეს არის როგორც სანავიგაციო ინსტრუმენტი, რომელიც დაფუძნებულია კონკრეტული კუნძულების სუნის ცოდნაზე, ის ასევე წარმოადგენს პირად და კოლექტიურ მოგონებებთან დაკავშირების საშუალებას. ყნოსვითი სირცხვილის კულტივირებით და გრძნობების იერარქიის დაწესებით, რომელიც ამცირებს ყნოსვის გამოყენებას, კოლონიზატორებმა გაცილებით მეტი გააკეთეს, ვიდრე სუნებისადმი ადგილობრივი ყურადღების გამახვილების პრაქტიკის დათრგუნვა - მათ გაანადგურეს ადგილობრივი სულიერი ცხოვრება, კოლექტიური მეხსიერება, კულტურული გეოგრაფიები და ნათესაური ურთიერთობა მიწასთან და ჰაერთან. ადგილობრივი (*indigenous*) კვლევების მეცნიერი ვისენტ დიასი ასახელებს სუნს, როგორც ეფემერულ, მაგრამ ისტორიულად მნიშვნელოვან ფენომენს, რომელიც ზოგადად გამორიცხულია წერილობითი და ვიზუალური არქივებიდან. ტონგანელი ავტორის ეპელი ჰაუოვას ნაშრომებში საუბარია იმაზე, რომ ყნოსვა ისტორიკოსებს სთავაზობს წვდომას ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილების დეკოლონიზებულ რეჟიმებზე.

მიუხედავად იმისა, რომ სუნის გაქრობის პრაქტიკა უშუალოდ აღწერს დასავლური მოდერნულობის ყნოსვის იდეოლოგიას, ის არ იძლევა ზუსტ ანგარიშს მატერიალურ ატმოსფეროსა და სუნის ლანდშაფტებზე თანამედროვეობის ფაქტობრივი ზემოქმედების შესახებ. მართლაც, სუნის გაქრობაზე მომუშავე ინსტიტუტებმა და იდეოლოგიამ ხელი შეუწყო ჰაერის, როგორც ცარიელი და ერთიანი საერთო სიკეთის ცნების შენარჩუნებას, რომელიც პასიურად გარედან იღებს ახალმოსახლეთა (*settler*) კულტურის ატმოსფერულ დეკორაციებს. თუ კოლონიალურმა განმანათლებლებმა შემოიღეს ჰიგიენური პრაქტიკა და ერთგვარი ყნოსვითი ზიზღი, რომელიც მიმართული იყო კონკრეტული სუნების მიმართ, ახალმოსახლეთა კოლონიალიზმის ეკოლოგიურმა ბატონობამ ასევე ფართო ტრანსფორმაციები მოახდინა ადგილობრივ სურნელოვან ლანდშაფტებში.

ყნოსვის აღქმა ნევროლოგიურად არის დაკავშირებული მოგონებებთან, ფესვებთან და ადგილის განცდასთან. ამიტომ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ადგილობრივი სურნელებების ცვლილებამ, რაც გამოწვეულია ფიზიკური განდევნითა და იძულებითი გადაადგილებით, ადგილობრივი სახეობების განადგურებით, არაადგილობრივი სახეობების დანერგვით, მონოკულტურული სოფლის მეურნეობით, ურბანიზაციის, მილიტარიზაციის, სამრეწველო ნარჩენებისა და დასავლური ინფრასტრუქტურითა და არქიტექტურით, ღრმად იმოქმედა ადგილობრივ მკვიდრთა გამოცდილებებზე ადგილის,

გარემოს, სულიერებისა და იდენტობის კონტექსტში. სუნის ლანდშაფტების ამგვარმა გარდაქმნებმა ხელი შეუწყო კოლონიალიზმის მიერ თავად ატმოსფეროს გარდაქმნას და ადგილობრივი განსხეულებისა და გარემოსდაცვითი ცოდნის აღმოფხვრას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მიშელ მერფის რეფლექსია, რომლის თანახმადაც „სიტყვები, პროტოკოლები და მეთოდები, რომლებიც პატივს მიაგებენ სხეულებისა და მიწის განუყოფელობას, ამავდროულად ებრძვიან კოლონიალიზმის მიერ დაფუძნებულ ფართო ქიმიურ ურთიერთკავშირებს, რომლებიც სიცოცხლის ფორმებს შორის დისბალანსის პროვოცირებას ახდენს.“

მის ავტობიოგრაფიულ ანგარიშებში, რომელსაც ზიტკალა-შა (Zitkala-Sa) თეთრი ინდიელების ფიზიკური შრომის ინსტიტუტში კოლონიური განათლების მიღების პროცესში წერდა, ის იხსენებს პრერიების, ველის სურნელს, რომელსაც ტრადიციულად სპეციალურად წვავდნენ და ადარებს თალგამის სუნს, რომელსაც აწყდებოდა სკოლის სამზარეულოში თალგამის დაკეპვისას: „მე მძულდა თალგამი და ეს სუნი, რომელიც ყავისფერი ქილიდან მოდიოდა. იგი უზომოდ გამაღიზიანებელი იყო ჩემთვის,“ ამბობს ის. ამ სურნელით გაღიზიანებული ავტორი საკმაოდ აგრესიულად იქცეოდა და ცდილობდა ამ მცენარის დაფხვნას, განადგურებას, რათა რამენაირად გარიდებოდა თალგამს, რომელიც ევროპიდან აშშ-ში შემოსულ ძირითად საკვებს წარმოადგენს. პანსიონატში მისთვის უცნობი სუნის ლანდშაპტი მხოლოდ კი არ აუცხოებდა ზიტკალა-შას, არამედ აიძულებდა, მასში არსებული „აჯანყება გამოეხატა“ და ტრიუმფალურად დაემტკიცებინა საკუთარი გამარჯვება.

ანალოგიურად, ჯონ დომინი თავის ნაშრომში „ჰავაის მკვიდრად ყოფნის შესახებ“ („On Being Hawaiian“), ჰავაის მეორე რენესანსის ფუნდამენტურ ტექსტში, აკრიტიკებს კოლონიალიზმის მიერ დაწესებულ „ურბანულ ინდუსტრიულ ცხოვრების წესს“ წინაპართა ყნოსვითი გამოცდილებების გახსენების საფუძველზე. ის წერს: „კოლონიზაციამდე არავინ იტანჯებოდა მსოფლიოს დიდი ქალაქების სულიერად დასახიჩრებულ ღვარცოფებში: ლონდონის, პარიზის, კალკუტას, ჩიკაგოს, ნიუ იორკის და ნეპალის ბარაკებში. კაკააკოს ხალხმრავალ ქოხებშიც კი ყვაოდა ბაღები და ღამის ჰაერი ივსებოდა სურნელოვანი ყვავილების, ჯანჯაფილის მძაფრი სურნელით, ნაცვლად სიცხეში აყროლებული შარდისა და სულისშემხუთავი დერეფნების სუნისა.“ ჰავაის კულტურული იდენტობის შესახებ ნაშრომში ჰოლტი ხაზს უსვამს „საუკუნოვანი კულტურის კოლექტიური ეთოსის მნიშვნელობას და იმ ფორმას, რომელიც მან გარემოს გავლენით მიიღო“. კრიტიკოსის, ოტო ჰეიმის აზრით, სუნთქვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჰავაის კულტურაში, როგორც „ურთიერთობების ღირებულების“ მეტაფორას და სუვერენულობას. კოლონიურმა ყნოსვითმა გარდასახვებმა „მიკროკლიმატური გახლეჩვების“ სახით ჰაერის გაწრთობის პროცესები შემოიტანა ატმოსფეროში, რომლის ცვალებადი სურნელებაც საუკუნეების მანძილზე ახდენდნენ გავლენას ჰავაის კულტურაზე.

ანთროპოლოგმა დებორა ჯექსონმა თავის ეთნოგრაფიულ კვლევაში ჰაერის დაბინძურების სურნელოვანი გამოცდილების შესახებ. ის იკვლევდა ადგილობრივ ჯგუფს, რომლებიც ცხოვრობენ მკვიდრ მიწებზე კანადის „ქიმიურ ხეობაში“, ამჯივნაანში (Aamjiwnaang) (თხუთმეტი კვადრატული მილის ფართობი სარნიაში, ონტარიოში, რომელიც მოიცავს კანადის ნავთობქიმიური ინდუსტრიის 40 პროცენტს).

მრავალრიცხოვანი მოგონებების და ინტერვიუების საფუძველზე ავტორი აღნიშნავდა, რომ თუ მეოცე საუკუნის დასაწყისში სუნები იწვევდა „დადებით ემოციებსა“ და ადგილმდებარეობას, რაც დაკავშირებული იყო ადგილობრივ მცენარეებთან, ცხოველებთან და სეზონურ აქტივობებთან: „თითოეული სურნელი სხვადასხვა დროსა და სეზონზე ახასიათებდა ნაკრძალის ცალკეულ ნაწილებს და ისინი აკავშირებდა ამ ადგილებს საზოგადოების ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან კონკრეტულ მოვლენებთან და პრაქტიკასთან“. ამის საპირისპიროდ, მოგვიანებით სახეზე იყო ჰაერის დაბინძურების ყოვლისმომცველი სუნი, რომელსაც გამოყოფდა ნავთობის ქარხნები. ისინი ამ მხარეში მრავლდებოდნენ 1960-იანი წლებიდან: „იმგვარ მყრალი სუნით გაჟღენთილ გარემოში, როგორც არის ამჯივანანი, ეს ადგილი სხეულთან ინტეგრირდება ავბედითი და დესტრუქციული გზებით, რადგან სუნთქვის მარტივი აქტივ კი განასხეულებს ტოქსიკური ნივთიერებების უნებლიე მიღებას“. ჯექსონის კონცეფცია გულისხმობს იმას, რომ მკვიდრი საზოგადოებები, როგორცაა აჯივანანი, შეიძლება ერთდროულად ღრმად იყოს დაკავშირებული თავის გარემოსთან, თუმცა ამავდროულად მას ძირს უთხრიდეს უხილავი სუნი და მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი რისკები. უფრო ფართოდ, ავტორი ყურადღებას ამახვილებს შფოთვისა და ზიანის იმ მრავალფეროვან გამოცდილებაზე, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს გარემოს ცვლილებების მთელი სპექტრით, მაგალითად, კოლონიალიზმის მიერ ეკოლოგიური გარდაქმნის ხანგრძლივი ისტორიით, ან შენელებული ძალადობით, რომელიც ტოქსიკური ინდუსტრიებითა და სამხედრო პროექტების ადგილობრივ მიწაზე და მის მახლობლად განლაგებით ვრცელდება.

ნაშრომში „ახალმოსახლეთა ატმოსფერო“ (“Settler Atmospherics”) ანთროპოლოგი კრისტენ სიმონსი ამტკიცებს, რომ სუნთქვის „კოლექტიური და არათანაბრად განაწილებული“ პირობებით მანიპულირება კოლონიალიზმის სასიცოცხლო კომპონენტია. სიმონსი აღნიშნავს, რომ „აშშ-ს დასახლებების კოლონიური პროექტი არის სხვა არაფერი, თუ არა ადგილობრივი ერების განადგურების პროექტი. სიმონსი აღნიშნავს, „ჩვენ გვქონდა სხვადასხვა დაბრკოლებები: დროის, სხეულებისა და მგრძნობელობის (affect) თვალსაზრისით. სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის მოლოდინი ჩვეულებად იქცა. ეს არის წესრიგი მუდმივად დაბლა მფრინავი ვერტმფრენებით, პროჟექტორებითა და მილიტარიზებული პოლიციით, რომელიც მასობრივი დამაბულობის შემოქმედია. კოლონიალიზმი, თავისი ქმედებებიდან გამომდინარე ქმნის ისეთ ატმოსფეროს, რომელიც ემსახურება აღქმის, გრძნობებისა და გამოხატულებების გარდაქმნასაც კი.“ სიმონსის ჩანაწერები, რომელიც ეხება ახალმოსახლეთა ატმოსფეროს, გვიჩვენებს მრავალგვარ გზას, რომლითაც კოლონიური სახელმწიფო ჰაერს იყენებს მოსახლეობისა და ტრადიციების დამლუპველ იარაღად და გარდაქმნის განსხეულების, გრძნობებისა და შეგრძნებების მდგომარეობას. პუარის არგუმენტის მიხედვით, კოლონიალურ და პოსტკოლონიურ კონტექსტში უძლურების (debility) გაგება მოითხოვს ქმედუნარობის (disability) გადანაცვლებას იდენტობის კატეგორიიდან „დაუძლურების ბიოპოლიტიკური“ ანალიზისკენ. ჩვენ დაუძლურება უნდა გავიგოთ, როგორც წინასწარ გათვლილი „რისკის მართვა“ და „ტაქტიკური პრაქტიკა, რომელიც მოსახლეობას არასტაბილურ, პრეკარიულ მდგომარეობაში აგდებს და მუდმივად მოსახლეობის ამ მდგომარეობაში დატოვებას უზრუნველყოფს“.

ადგილობრივი ჯგუფები ურთიერთქმედებენ ისეთ ნივთიერებებთან, რომელთა კომპონენტები და გრძელვადიანი ზემოქმედება არ არის გამოკვლეული. უმეტეს შემთხვევაში ამასთან დაკავშირებით კითხვებიც არ არის დასმული. ამგვარი რისკების წინაშე უფრო მეტად ადგილობრივი საზოადოებები დგებიან. კოლონიზატორები არამხოლოდ თავად ამბობენ უარს, არამედ სხვასაც უზღუდავენ საქმიანობებს, რომლებიც საფრთხეების შეფასებაზეა ორიენტირებული.

ახალმოსახლეთა მიერ განხორციელებულ ყველაზე შემზარავ მაგალითებს შორის არის მყრალი წყლის (skunk water) გამოყენების პრაქტიკა. აღნიშნული ნივთიერება გამოიყენება, როგორც ყნოსვითი იარაღი, რომელიც შექმნილია ისრაელის პოლიციასთან კონსულტაციის საფუძველზე და მასზე ცდები ტარდება ყოველგვარი თანხმობის გარეშე (ძირითადად პალესტინელ მომიტინგეებზე) კომპანია Odortec-ის მიერ, რომელიც ისრაელში ფუნქციონირებს. აღნიშნული კომპანია რეკლამირებას უწევს მყრალ წყალს, როგორც ჰუმანურ იარაღს, რომელსაც შეუძლია უპასუხოს „ისეთ მწვავე დილემებს, როგორიცაა სამოქალაქო არეულობები“. კომპანია აცხადებს, რომ ამ ნივთიერებას აქვს არეულობების ეფექტური კონტროლის უნარი და მისი დანიშნულებაა ყველას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, მათ შორის თავად მომიტინგეებისა. ისინი აცხადებენ, რომ მყრალი წყალი 100%-ით საკვები ინგრედიენტების გამოყენებით არის შექმნილი, და ეკოლოგიურად სუფთა და უვნებელია როგორც ბუნების, ისე ადამიანებისთვის. თუმცა გეოგრაფი მარიჯნ ნიუენჰაუსი (Marijn Nieuwenhuis), აღნიშნავს, რომ ისრაელის თავდაცვის ძალები რეგულარულად იყენებენ მყრალი წყლით სავსე სატვირთო მანქანებს პალესტინის ქუჩების, ბაღების, სახლების, სკოლების დასაზიანებლად. ამ წყლის ჭავლით აღჭურვილ სატვირთო მანქანებს შეუძლიათ მთელი უბნების დაზიანება. 2018 წელს ისრაელმა წარადგინა ახალი „Shoko Drone“ რომელიც შექმნილია მყრალი წყლის პირდაპირ ბრბოსკენ მისამართად. ნიუენჰაუსი ამტკიცებს, რომ ლიბერალური მედიის მიერ ამ წყლის ჰუმანურ და ეთიკურ იარაღად წარმოდგენა მეტყველებს მათ „უგრძნობლობაზე ყნოსვის ჭეშმარიტად დამლუპველი ძალის მიმართ“. იგი აღნიშნავს, რომ უსიამოვნო სუნი რჩება ტანსაცმელზე, ავეჯსა და სხეულზე დღეების განმავლობაში (ერთ შემთხვევაში, რეპორტიორის კამერას სუნი აღენიშნებოდა თითქმის ნახევარი წლის მანძილზე). ავტორი ვარაუდობს, რომ სხვადასხვა სურნელით გამოწვეული სოციალური და ემოციური შედეგები ღრმავა. მისი აზრით, მყრალი წყალი რასობრივი დაყოფის ხაზებს სუნის იერარქიის მეშვეობით აწარმოებს - ერთ მხარეს ცხოველურ, ველურობის მყრალ სუნსა და მეორე მხარეს სუნისგან გაწმენდილ დეზოდორიზებულ სურნელებს შორის. ის უფლებას აძლევს სახელმწიფოს ძალადობრივად გაწმინდოს თავისი მიწები რასობრივი ნიშნის მიხედვით“. ეს არის ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც პალესტინელი მეცნიერის, ნადერა შალჰუბ-კევორკიანის აზრით, „აქცევს კოლონიზებულ უბნებს სიცოცხლისთვის შეუთავსებელ, დამპალ სივრცედ და აპროვოცირებს რეალობას, სადაც კოლონიზებულებს უარს ეუბნებიან არა მხოლოდ ჯანსაღ სივრცეზე, არამედ სმენაზე, ყნოსვასა და მხედველობაზეც კი“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული იარაღი უმეტესწილად პალესტინელების წინააღმდეგ დამზადდა და მათ მიმართ გამოიყენებოდა, იგი ასევე გამოიყენეს ეთიოპიელი მომიტინგეების წინააღმდეგაც ინდოეთში და ის ასევე აშშ-ს რამდენიმე ადგილობრივი პოლიციის უწყების მიერ იქნა შექმნილი. მყრალი წყლის, როგორც

მისაღები იარაღის ცირკულაცია მოწმობს იმას, რომ კოლონიზაცია აწარმოებს სუნთქვითი მდგომარეობის ახალ სოლიდარობის კავშირებს: „არასტაბილურ ურთიერთმიმართებაში ჩვენ ვერგებით იმას, თუ როგორ (არ) შეუძლიათ სხვებს სუნთქვა და ჩვენი ტაქტილური უნარები უფრო გამახვილებულია, რათა ჩვენ ვიგრძნოთ ერთმანეთი სხვა საშუალებებით.“

დიდი ბრიტანეთის საზოგადოებასა და ჩრდ. ალასკას ნავთობის საბადოების გამო კლიმატის ცვლილებით დაზარალებულ ადგილობრივებს შორის სენსორული და მგრძნობელობითი (affective) კავშირების დამყარების მცდელობისას კაქტოვიკში ინუპიაქ ქალებთან კოლაბორაციით გეოგრაფმა და ანთროპოლოგმა ჯულია ფოიერ-კოტერმა შექმნა „ცვლილებების სურნელი“ (2015). ნაშრომი მიზნად ისახავდა კაქტოვიკის მოსახლეობის გამოცდილებათა გაზიარებას, რომელიც ეფუძნებოდა აღქმულ ცვლილებებს. როგორც ავტორი აღნიშნავს, მოსახლეობას სურდა მათი დასახლებული პუნქტის გარეთ მცხოვრებ საზოგადოებას გაეზიარებინა მათი გამოცდილება. ამისთვის ისინი შეეცადნენ შეეთავაზებინათ გარესამყაროსთვის ადგილობრივი სურნელების სერიათა სინთეზი. ავტორი აცხადებს: „ჯგუფი აგროვებდა და მიგზავნიდა დაზიანებულ საბურავებს, ხელსაწყოებს, ტალახს, ბეწვს, კლდეთა ნაშალს რამდენიმე თვის განმავლობაში, რათა სურნელთან ერთად დაფიქსირებულიყო არქტიკის სეზონური ცვლილებების გავლენაც“. ობიექტების სურნელების სინთეზის შემდეგ ავტორმა გააერთიანა ისინი ჯგუფში შეთანხმებული დიზაინის მიხედვით და გაგზავნა სხვადასხვა ლოკაციაზე, მათ შორის კაქტოვიკში. შედეგად დამზადდა სინთეზური სურნელი, რომელიც მოიცავდა კაქტოვიკის ცვალებად და დაბინძურებულ სურნელს. „ცვლილების სუნი“ უშუალოდ ზემოქმედებდა სუნთქვაზე ბიოქიმიური საშუალებებით, რაც ადამიანებს საშუალებას აძლევდა განეცადათ კაქტოვიკის ცვალებადი სურნელი ენობრივი აპარატისა და ვიზუალიზაციის გარეშე. ნაშრომი ცდილობდა წარმოეჩინა დაბინძურებული არქტიკა არა როგორც სურათი ან ამბავი, არამედ როგორც სხეულთაშორისი, ტრანსკორპორაციული (trans-corporeal), სენსორული გამდიზიანებლების მეშვეობით გადმოცემული მგრძნობელობა, აფექტი.

უორენ კარიუ, მეტისური (Métis) წარმოშობის კანადელი ავტორი ყურადღებას ამახვილებს სურნელის მზაკვრულ ძალადობასა და მისი გამოსახვის წინააღმდეგობის გაწევაზე. კანადაში ათაბასკას ქვიშის ნავთობის მოპოვების შესახებ ფოტო ნარკვევში, კარიუ საუბრობს ტოქსიკურ სუნზე: „რაც ყველაზე მეტად მახსოვს ტარის ქვიშებიდან არის სური. ჩვენ იქ ვიდექით ჩვენი კამერებით და ვცდილობდით ამ წაშლილი პეიზაჟის გადაღებას, მაგრამ მე ძლივს ვხედავდი ორთქლსა და გოგირდში. აქ იყო ბენზოლი, დიზელი და კიდევ რაღაც - მძაფრი, სიკვდილის სურნელი. ვგრძნობდი ნახშირის ნარჩენებს ჩემს ენაზე. ნახევარი ათეული ამოსუნთქვის შემდეგ შაკიკის შეტევა დამეწყო. მაისურის სახელოში ჩავრგე თავი და ვცდილობდი ნაკლები მესუნთქა. მხოლოდ ის მაინტერესებდა, როგორ შეეძლოთ ადამიანებს ამ პირობებში მუშაობა? როგორ შეეძლოთ ამ პირობებში ეცხოვრათ ადგილობრივებს?“ იმ ფაქტით შემოფოთებული ავტორი, რომ ადამიანები, როგორც ჩანს, ეგუებიან ასეთ სუნს, მოგვიწოდებს ერთგვარი სააზროვნო ინსტიტუტის (tink-tank) შემუშავებისკენ, რომელიც ხელს შეუწყობს ცოდნის გამომუშავებას ყნოსვითი რეჟიმების შესახებ.

სურნელებათა ლანდშაფტის დეკოლონიური მიდგომა მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე გარემოს ტოქსიკურობის დოკუმენტაციაა: იგი მიზნად ისახავს ჩვენი გრძნობებისა და საბოლოოდ ატმოსფეროს გარდაქმნას. სურნელებათა დეკოლონიზაცია არ ნიშნავს დეკოლონიზაციის გაგებას, როგორც ცნობიერების გარდაქმნის უბრალო მეტაფორას და „გონების დეკოლონიზაციას“. ჩემი შემოთავაზებაა, რომ მატერიალური გარემო უნდა გარდაიქმნას, როგორცაა: მიწა, პური, წყალი, ჰაერი, გარემო და ა.შ. რა სჭირდება სუნის დეკოლონიზაციას? სარა ვალდის, დევით ვასკესის, პრისცილა სოლის იბარას და სარა ჟაკეტ რეის შთაგონებით პასუხი არის შემდეგი: „ეს არის ხელახალი აღორძინების მოდელი, რომელიც გარემო-პირობებსა და ეროვნებაზე დომინანტური წარმოსახვებიდან გარიყული საზოგადოებების გზებს წარმოადგენს. ამ გზებით ისინი დიდი ხანია გარემოსდაცვითი ღირებულებებს იცავენ და გარემო-პირობებზე ფიქრის ახალი სახის აზროვნებას აყალიბებენ“.

„ჰაერის კონდიციონერით გაგრილებული კუბოები“

ოკეანიის ლიტერატურის ყველაზე გავლენიან ფიგურათა შორის ვენდტი ყველაზე ცნობილია თავისი კულტურული მანიფესტით „ახალი ოკეანიისკენ“ (1976). იგი ასევე დაჯილდოვდა თავისი ეპიკური რომანისთვის „ბანიანის ხის ფოთლები“ (1979). ეს არის ოჯახის ისტორია, რომელიც კოლონიალიზმის და პოსტ-კოლონიალური ზეწოლის პირობებში წარმატებისთვის იბრძვის. ავტორი გაიზარდა კოლონიურ დასავლეთ სამოაში, მოგვიანებით კი სწავლობდა და ცხოვრობდა ახალ ზელანდიაში. ვენდტს ჰქონდა შესაბამისი გამოცდილება, რათა გამოეკვლია დამაბულობა კოლონიალურ განათლებას, გლობალიზაციას და სამოას ადგილობრივ კულტურას შორის. მიუხედავად იმისა, რომ მისმა მოთხრობამ „მე ვიქნები ჩვენი მხსნელი ცუდი სურნელისგან“ (1984) ვენდტის სხვა რომანებზე გაცილებით ნაკლები ყურადღება დაიმსახურა, ეს უკანასკნელი გვთავაზობს კოლონიალიზმის ატმოსფერულ და სენსორულ მემკვიდრეობას. მასში ასევე ყურადღება გამახვილებულია დეკოლონიზაციის გამოწვევებზე.

ვენდტის სატირული იგავი ეხმიანება საზოგადოებრივი სივრცის სუნის გაქრობას დეზოდორიზაციის გზით. „ცუდი სურნელი“ წარმოადგენს სუნის გაქრობის ალეგორიას. მასში მოთხრობილია სიუჟეტი, რომლის თანახმადაც სამოას სოფელი საულა ერთ დღესაც იღვიძებს გულისრევის შეგრძნებით. ამავე დღეს პრობლემის აღმოსაფხვრელად, აღნიშნული საზოგადოების ლიდერი რომანის მთხრობელ პერსონაჟს ნიშნავს „ხმელეთის, ზღვისა და ჰაერის შემსწავლელი კომიტეტის“ თავმჯდომარედ. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მთხრობელი ხელმძღვანელობს კუნძულისა და მისი შემოგარენის სისტემატიურ გამოკვლევას, უშედეგია მისი მეთოდები, ისევე როგორც ადგილობრივი მკურნალის იდეები და აპიას სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თეთრკანიანი მეცნიერის გამოცდილება. ისინი ვერ ახერხებენ მყრალი სუნის მიკვლევასა და აღმოფხვრას. საბოლოოდ, სოფლის მაცხოვრებლები ადაპტირდებიან აღნიშნულ სუნთან და არწმუნებენ საკუთარ თავსა და საზოგადოებას „რომ ეს არის უვნებელი, არაინფექციური და ჯანსაღი სურნელი, რომელიც შეგვიძლია ჩავთვალოთ განსხვავებულობისა და უნიკალურობის ნიშნად“. თუმცა რომანის მთხრობელი პირი კვლავ შეპყრობილი რჩება ამ პრობლემით. მიუხედავად იმისა, რომ ის მონაწილეობს საზოგადოებრივ კამპანიებში (შემდეგი ლოზუნგებით „ჩვენი სუნი წყნარი ოკეანის სუნამოა“), მას ფარულად სჯერა, რომ სუნის აღმოფხვრა არის მისი ბრძოლა, მისი მისია,

მისი ცხოვრების აზრი. მიუხედავად იმისა, რომ ვენდტი არასოდეს ამხელს სუნის წყაროს, კრიტიკოსები მას უკავშირებენ კოლონიალიზმის მიერ შემოტანილ კულტურულ დაბინძურებას: შარადის ფილოსოფიის თანახმად, ამ შემთხვევაში სურნელი შეგვიძლია გავიგოთ, როგორც კოლონიური მემკვიდრეობა, რომელსაც ადამიანთა უმეტესობა ნებით ან გარკვეული სარგებლის სანაცვლოდ ემორჩილება. ზოგჯერ მთხრობელი სუნს ქრისტიანობასთან აკავშირებს, რადგან მისი დაკვირვების მიხედვით, აღნიშნული სურნელი ოვალურად ვრცელდება, ისეთ ლოკაციაზე, რომლის ცენტრსაც ეკლესია წარმოადგენდა. მთხრობელი ამ სუნს ორგანულ მასალებთანაც აკავშირებს: „დამპალი ხილი, გახრწნილი ხორცი, გახეხილი ყველი (ეს არასოდეს გამისინჯავს), მლაშე წყალი, ჭაობის ტალახი“. ყველის გარდა, ეს ყველაფერი ადგილობრივი სურნელოვანი ლანდშაფტის ელემენტებია - მასალები, რომლებიც ხშირად ხდება თანამედროვე კამპანიების სამიზნე. ამრიგად, „ცუდი სუნი“ ფუნდამენტურად ორაზროვანია: ერთდროულად მკვიდრი და უცხო, ორგანული და იდეოლოგიური, მატერიალური და ფსიქოსომატური.

სიუჟეტი აგებულია ირონიული წინააღმდეგობის გარშემო, რომლის დროსაც მთხრობელის იმიტირებულ-გმირული ბრძოლა სუნის წინააღმდეგ ამრავლებს კოლონიალურ აზროვნებას და პოტენციურად ტოქსიკურ სურნელს. ანალოგიურად, როდესაც მთხრობელი განიხილავს „რაკეტების“ გამოყენებას სურნელის ატმოსფერული საზღვრების დასამსხვრევად, ან თვითმფრინავის გამოყენებას „თვრამეტი ტონა სუნამოს“ ან „ფუმიგაციის სპრეის“ გასაფანტად და სუნის შესამცირებლად, ის გულისხმობს სამხედრო, სასოფლო-სამეურნეო და კოსმეტიკურ პროდუქტებს, რომლებსაც ჰქონდათ დამლუპველი ეკოლოგიური ეფექტი მთელს ოკეანიაში. მთხრობელის სურვილი, წარმართოს სუნის გაწმენდის კამპანია დეზოდორიზაციის გზით - რომელიც გრძელდება მას შემდეგ, რაც მისმა მეზობლებმა დაკარგეს სურნელის აღმოფხვრის ინტერესი - კვებავს მის ამბიციას. იგი მისწრაფვის ძალაუფლებისა და პრესტიჟისკენ. მთხრობელი პერსონაჟის მზარდი აბსურდული მცდელობები მავნე სუნის წინააღმდეგ და ამის წინააღმდეგ რაციონალურობის მობილიზების მცდელობა, ასახავს საზოგადოებრივ ჯანდაცვის კამპანიებს, რომლებიც თანამედროვე სახელმწიფოებს ლეგიტიმაციაში დაეხმარნენ.

ვენდტის მსჯელობა კოლონიური არქიტექტურის შესახებ მის ინოვაციურ ნარკვევში „ახალი ოკეანისკენ“ კონტექსტუალურად გვეხმარება „ცუდ სურნელში“ აღწერილ ატმოსფერული პოლიტიკის გაგებაში. ეს მჯელობა ადასტურებს ოკეანიის კულტურული წარმოების სიცოცხლისუნარიანობას და მისი როგორც კულტურული კოლონიალიზმისთვის წინააღმდეგობის გაწევის ხელსაწყო მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ „ახალი ოკეანიისკენ“ ხშირად მოიხსენიება, როგორც ოკეანიის ლიტერატურული ავტონომიისკენ მოწოდების მცდელობა, იგი ასევე მოიცავს ვენდტის იდეების რამდენიმე ძლიერ არგუმენტს კოლონიური განათლების შედეგების შესახებ:

„საშინელი უცხო არქიტექტურის ტიპი შემოიჭრება ოკეანიაში: სუპერ-უჟანგავი/სუპერპლასტიკური/სუპერ-ჰიგიენური/სუპერ-უსულგულო სტრუქტურა, რომელიც ძალიან ჰგავს თანამედროვე საავადმყოფოებს. მისი ყველაზე კომმარული ფორმა ახალი ტიპის ტურისტული სასტუმრო - მრავალსართულიანი შენობა, რომელიც შექმნილია ბეტონით/ფოლადით/ქრომით/ და აღჭურვილია ჰაერის კონდიციონერით.

არქიტექტურის ეს სახეობა იმ ბურჟუაზიული ფასეულობების განსახიერებაა, რომელიც მე არაჯანსაღად/სულის დამღუპველად მიმაჩნია: უფერულობის კულტივირება/თაყვანისცემა, მატერიალურ საკუთრებაზე დაფუძნებული უაზრო და საექვო უსაფრთხოების ძიება, ღრმადგამჯდარი შიში ჭუჭყისა და ყველაფერი იმის მიმართ, რითიც მდიდარია ჩვენი კულტურა. სიკვდილის შიში ვლინდება სუპერჰიგიენური სისუფთავისა თითქმის პარანოიულ ძიებასა და სისუფთავის თაყვანისცემაში“ (“TNO,” 56).

პასაჟი კონცეპტუალურად გვახსენებს “ცუდი სურნელის” შინაარსს და ატრიალებს მას: ვენდტის მანიფესტში არსებული ეგზისტენციალური საფრთხე ოკეანიის კულტურული დამოუკიდებლობისთვის არ არის მავნე სურნელი, არამედ ეს არის „თითქმის პარანოიური ძიება“ სუნისგან განწმენდის, დეზოდორიზაციისა. კონდიციონერი და ჰიგიენის შესახებ „განათლება“ ახდენს როგორც სივრცის, ასევე ოკეანიის სენსორული სისტემის კოლონიზაციას, რის შედეგადაც წარმოიქმნება სუნის გაღარიბება და დასავლური თანამედროვეობისთვის დამახასიათებელი კულტურული ანტიპატია სუნის მიმართ.

გარემოსთან შერწყმული, სვეტებზე დაყრდნობილი და უკედლო ტრადიციული სამოური ქობის ნაცვლად, ჰაერის კონდიციონერებით აღჭურვილ სტრუქტურებს არაფერი აკავშირებთ ოკეანიის ტრადიციებთან. ეს სტრუქტურები ავრცელებენ იმას, რასაც ურბანული კვლევების მეცნიერი რიჩარდ სენეტი უწოდებს „სივრცეში სენსორული დანაკარგის პრობლემას“. ვენდტი მიიჩნევს: „ახალი ტურისტული სასტუმროები, რომლებიც აშენებულია მკვდარი მასალებისგან ... ეხმიანება სულიერ, შემოქმედებით და ემოციურ სიცარიელეს, რომელიც დაბუდებულია თანამედროვე ადამიანში. ყოველდღიურობა დაკავშირებულია დეზოდორიზებულ/სანიტარიზებულ კომფორტთან. ... სახეზეა მათი ინერტული მასალებით შემდგარი ფორმალური ერთგვაროვნება და არსებული გარემოს სრული უგულვებლყოფა. ... ოკეანიის სასტუმროს შენობები არის სხვა არაფერია, თუ არა კონდენციონერებით გაგრილებულ მავზოლეუმებში მოთავსებული კონდენციონერებით აღჭურვილი კუბოები. ... ვესტერნიზებული, მოდერნისტული და სუნისგან გაწმენდილი, დეზოდორიზებული სივრცეების წარმოება ამკვიდრებს ... ბურჟუაზიულ ღირებულებებს, დამოკიდებულებებსა და ცხოვრების წესს, რაც ძალზე მიმზიდველი დაავადებებია, რომლებიც ნელა, კომფორტულად გვკლავს და გვაშორებს ჩვენი კულტურების სიმდიდრეს“.

ვენდტის კრიტიკა კოლონიური და პოსტკოლონიური არქიტექტურის შესახებ უარყოფს ჰიგიენური დისკურსის ბიოსამედიცინო ვარაუდებს: ის აიგივებს სუნისგან გაწმენდისა და დეზოდორიზაციის პრაქტიკას ნელ სიკვდილთან, ხოლო ბუნებრივ სურნელს უეჭველად უკავშირებს „ჩვენი კულტურების სიმდიდრეს“.

„ახალი ოკეანიისკენ“ იმეორებს ბევრ იდეას, რომელიც ვენდტმა წარმოადგინა „ქადაგებაში ეროვნული განვითარების, განათლებისა და ღპობის შესახებ სამხრეთ წყნარ ოკეანეში“. ვენდტი იყენებს „ღპობის“ მეტაფორას ოკეანიაში კოლონიალური რელიგიის, განათლებისა და არქიტექტურის შედეგად გამოწვეული სოციალური ზიანის დიაგნოსტიკისთვის. „ღპობა“ არის კოლონიალიზმის მიერ გამწვავებული სიხარბისა და „ელიტიზმის“ პროდუქტი. ვენდტი აცხადებს: „ჩვენი განვითარება დიდწილად

დაფუძნებულია და ამჟამადაც ეფუძნება ახირებასა და ფანტაზიას, პირადი უპირატესობის მოპოვებას, შურისმაძიებლობას და ნებისმიერ ფასად ძალაუფლების შენარჩუნების სურვილს.“

ის აგრძელებს კოლონიალიზმის მემკვიდრეობაზე წერას: „უაზრო ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლებისთვის, ვისკის ფლაკონი, ფოლადი და ჰიგიენური პლასტმასი, წვრილმანი იმპერიის მშენებელი-მონადირე და ადამიანის ხორცის გამყიდველი, ერთი შეხედვით ურყევი კოლონიური ჰოლივუდური ოცნება სამხრეთის ზღვების სამოთხეებზე, პასტორის ჩურჩული და ნდობის „ექსპერტი“, არაპრინციპული პოლიტიკოსი და ტურისტული წინასწარმეტყველი, რომელიც თითებს აკრავს ჯოზეფის მრავალფეროვან ქურთუკს, პაპა დოკსი და მათი მშვიერი კლანები, ქადაგებებისა და პოლიტიკური ლიტანიების ღიმილიანი კბილები, შალის ნახშირის კოსტუმები, შავი ჰალსტუხები და მაფიოზური სათვალეები - ეს ყველაფერი ჩვენ გვიახლოვდება. მათთვის, ვინც ჯერ კიდევ არ არის პასიურობით შებოჭილი, ლპობის სუნი გაუსაძლისი ხდება.“

ეს აღწერა ცალსახად ამახვილებს ყურადღებას სურნელის წყაროებზე და იმ ინდივიდუალურ სარგებელზე, რასაც კონკრეტული პირები იღებენ. ეს ყველაფერი კი გამოწვეულია კოლონიალიზმის მიერ ძირძველი ტრადიციების განადგურებით და დასავლური თანამედროვეობისა და გლობალური კაპიტალიზმის არქიტექტურული და ეკონომიკური შემოჭრით. ვენდტი ამის შემდეგ გადადის არქიტექტურული კრიტიკიდან კოლონიური განათლების მკვეთრ კრიტიკაზე. ის კოლონიურ განათლებას ახასიათებს, როგორც სუნის გავრცელების მექანიზმს, რომელიც სტუდენტებს გარდაქმნის „დალილ, შუახნის, ახალგაზრდა ადამიანებად, და აიძულებს მათ თეთრი საყელოს მარყუჟის ნებაყოფლობით ტარებას. რომლებიც სამაღლეთიდან ცდილობენ სდიონ ოცნებას „მოწიწებაზე.“ ... ჩვენი ორეულები ხელს უწყობენ ლპობა გაგრძელდეს“.

ვენდტის მსგავსად აქტივისტმა, მწერალმა და პოლიტოლოგმა ჰაუნანი-კეი ტრასკმა წვლილი შეიტანა დეკოლონიურ მოძრაობებში მთელი ოკეანის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ.

„[ჩემთვის] წერა არის დეკოლონიზაციაც და ხელახალი შექმნაც“, წერს ის. „ეს არის შემოქმედებითობა ამერიკული თესლის წინააღმდეგ, ჰავაის თესლის სასარგებლოდ.“ ნაშრომში „ძალადობის ფერი“ ის ყურადღებას ამახვილებს გარემოსდაცვითი „მშვიდობიანი ძალადობის“ შესახებ, ამ კონცეპტს ფრანც ფანონიც იყენებდა. ტრასკი წერს:

„ამ სახის მშვიდობიანი ძალადობა იწვევს მიწების ჩამორთმევას, ჩვენი მცენარეების, ცხოველებისა და ჩვენი ხალხის დაბინძურებას და ჩვენი არქიპელაგის გადაქცევას შხამიან საომარ ზონად“. ტრასკის პოეზიასა და ესეებში გამოხატული კოლონიალიზმის სურნელის კრიტიკული შეფასებები ნათელს ხდის ყნოსვის შესახებ ცოდნისა და პრაქტიკის ძირძველ რეჟიმებთან დაკავშირებით ავტორის დეკოლონიურ მოწოდებებს.

მაშინ როცა ვენდტი ხაზს უსვამს დეოდორიზაციის - სურნელის გაქრობის დასავლური იდეოლოგიების ფსიქოლოგიურ და კულტურულ ეფექტებს, ტრასკი საუბრობს როგორც კოლონიზაციის მიერ დაგმანულ სურნელის ეკოლოგიაზე, ასევე უსიამოვნო და ხშირ შემთხვევაში ტოქსიკურ სუნზე, რომელსაც კოლონიზაცია იწვევს. ვენდტის მსგავსად, ის აგროვებს კოლონიალიზმის სუნის მრავალფეროვან კომპონენტებს

და აღწერს მათ თავის ნაშრომებში, თუმცა, ტრასკის ანგარიში ხაზს უსვამს ჰავაის ატმოსფეროზე კოლონიალიზმის მატერიალურ ეფექტს:

„ჰავაის კოლონიაში ყველგან არის გამეფებული არა მხოლოდ სისასტიკე, არამედ კოლონიალიზმის სუნიც: მათ შორის, პერლ ჰარბორში, რომელიც იმდენად საფუძვლიანად არის დაბინძურებული ამერიკელი სამხედრო ძალით, რომ ახლა გარემოს დაცვის სააგენტოს სუპერფონდების სიაში პირველ პრიორიტეტებს შორისაა; ვაიკიკიზე, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პლაჟზე, სადაც ჰონოლულუს გადატვირთული კანალიზაციის სისტემიდან ადამიანის ექსკრემენტი ნაპირთან მიცურავს; ჰონოლულუს საერთაშორისო აეროპორტში, სადაც ავიაციის საწვავი კომერციული, სამხედრო და კერძო თვითმფრინავები მარადიულ საბურველს ქმნის ჯერ კიდევ ცხელი ჰაერით; ყველა ძირითადი კუნძულის დიდებულ ხეობებსა და დაბლობებში, სადაც შაქრის პლანტაციებსა და გოლფის უზარმაზარ მოედნებზე მძიმე პესტიციდების/ჰერბიციდების გამოყენება საბოლოოდ იწვევს დაბინძურებულ ჭაობებს, მდინარეებს, ყურეებს და, რა თქმა უნდა, დაბინძურებულ მიწისქვეშა წყლებს; საცობებით გადაჭედნილ ავტომაგისტრალებზე, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტ მიწას შთანთქავენ, რადგან ამერიკული ცხოვრების წესი განადგურებისკენ მიმავალ გზას კვალავს; სკოლებსა და ბიზნესებში, სასტუმროებში, მაღაზიებში, სამთავრობო შენობებში და რადიოსა და ტელევიზიაში, სადაც თეთრკანიანი ქრისტიანული ამერიკული ღირებულებები კაპიტალიზმის, რასიზმისა და ძალადობრივი კონფლიქტების მხარდაჭერას ლობირებენ.“

ტრასკი აშშ-ს ოკუპაციას ასევე უკავშირებს ატმოსფერული ტრანსფორმაციის პროცესს. იგი ადასტურებს, რომ მილიტარიზაციის, ტურიზმის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და მხოლოდ ერთი სახის, მონოკულტურული სოფლის მეურნეობის შედეგად გამოწვეული ჰაერის დაბინძურება საფრთხეს უქმნის კანაკა მაოლის მოსახლეობას.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჰავაიში კოლონიალიზმის სურნელი გამოწვეულია ისეთი ინდუსტრიებით, რომლებიც პირიქით, ანადგურებს მის ეგზოტიკურ სურნელს. მაგალითად, ჰავაის სურნელოვანი სანდლის ხეები მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში განადგურდა ახალი ინგლისელი ვაჭრების მიერ, რომლებმაც ის ჩინეთში, სავაჭროდ წაიღეს. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ოდესღაც სანდლის ხე ჰავაიში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხე იყო, 1856 წლისთვის მისი რაოდენობა მკვეთრად შემცირდა.

ჰავაიზე ტურიზმის ზემოქმედების მკვეთრი კრიტიკისას, ტრასკი ხაზს უსვამს მისი მიწის ეგზოტიკურ, სენსორულ წარმოდგენაში სუნის როლს: „ჰავაი — სიტყვა, ხედვა, ხმა გონებაში — არის სინაზის, სიკეთის სურნელი და შეგრძნება“.

ტრასკის პოეზია ეწინააღმდეგება ჰავაის „სურნელის“ საქონლად ქცევისა და რეალიზაციის (commodify) მცდელობებს. იგი ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ კოლონიალიზმის მავნე სურნელების გავრცელებაზე, არამედ ყნოსვის დეკოლონიურ პრაქტიკაზეც. მკვიდრი (indigenous) ჰავაელებისთვის ბევრი ბოტანიკური სურნელი გამსჭვალულია სულიერი მნიშვნელობით: მაგალითად, „მაილი ასოცირდება ღმერთების თაყვანისცემასთან.“ ამასთან, დამპყრობლური, მომწამვლელი სურნელის გარდა, არ არსებობს „ცუდი“ და „კარგი“ სურნელს შორის ოპოზიცია. „სიმყრალე“ და „ღვთიური

სურნელიც“ ერთმანეთთან უწყვეტ სპექტრზეა სხვადასხვა ადგილას განლაგებული და ორივე მათგანს აქვს შეკავშირებისა და ახლადწარმოშობის პოტენციალი. ტრასკის დეკოლონიური მიდგომა არ ეფუძნება სხვაობას სასიამოვნო (საქონლად ქცეულ) და გულისამრევ სუნს შორის, არამედ სხვაობას ავტოქტონურ და ტოქსიკურ, მკვიდრ და უცხო სუნს შორის.

ტრასკისთვის სურნელი უფრო მეტია, ვიდრე გარემოს აღწერის ელემენტი ან კოლონიალიზმის სიმყრალის მეტაფორა. მისი ჩარჩო კოლონიალიზმს უყურებს, როგორც ტოქსიკურ ატმოსფეროს და ეფუძნება ჰაერის ღრმა მნიშვნელობას ჰავაის რელიგიასა და პოლიტიკურ თეორიაში. მისი პოეზია დეკოლონიზებას ახდენს იმ მკვიდრ სურნელებზე ყურადღების გამახვილებით, რაც კოლონიურმა ატმოსფერომ ჩაახშო.

დეკოლონიური ჰაერის გამოწრთობა

კვამლით განწმენდა (smudging) - სულის განკურნების ცერემონია, რომელსაც მრავალი კვიდრი ერი ახორციელებს - გვიბიძგებს გადავხედოთ ამ წიგნის ადრინდელ დისკუსიებს ჰაერის კონდიციონებისა და ყნოსვის ესთეტიკის შესახებ. უნდა გვახსოვდეს, რომ ყნოსვის ესთეტიკურ ინტერვენციებს აქვთ მდიდარი ტრადიციები ადგილობრივ და არადასავლურ საზოგადოებებში. პრეკოლუმბიური წარმოშობის ტრადიციული ცერემონია, კვამლით განწმენდა მიუთითებს იმაზე, რომ ძირძველმა ხალხმა აღიარა ატმოსფერული ინჟინერიის ძალა და მისი ჯანმრთელობაზე გავლენა დიდი ხნის წინ.

კვამლით განწმენდა შეიძლება ნაწილობრივ გავიგოთ, როგორც ყნოსვითი ესთეტიკის მაგალითი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს უხილავი ყნოსვის გამოცდილების ერთდროულად სულიერ და მატერიალურ განზომილებებზე. იგი ახდენს სუნის დეკოლონიზებას ორ დონეზე: პირველი, იგი აღიარებს ყნოსვას, როგორც ხორცმესხმული, ტრანს-სხეულებრივი, სხეულს მიღმა არსებული ცოდნის შექმნის საშუალებას; და მეორე, იგი გარდაქმნის გადმოსახლებული მოსახლეობის სურნელოვან პეიზაჟებს ადგილობრივ, მკვიდრ ცოდნად.

